ა ნ გ ა რ ი შ ი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ ცირკულარული ეკონომიკის საკითხებზე საპარლამენტთაშრისო სხდომაში

17-18 მარტი, 2024

ბრიუსელი, ბელგია

18 მარტს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, მაკა ბოჭირიშვილმა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, მაია ბითაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, ბელგიის მიერ ორგანიზებულ საპარლამენტთაშრისო სხდომაში ცირკულარული ეკონომიკის საკითხებზე.

ღონისძიება გაიმართა ბელგიის ფლამანდიის პარლამენტში ევროკავშირის წევრებისა და კანდიდატი ქვეყნების პარლამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით.

სხდომაზე მოხსენება გააკეთეს ევროკომისარმა გარემოს დარგში და ფლამანდიის ეკონომიკის მინისტრმა. მოწვეულ იქნენ ცირკულარული კომპანიების წარმომადგენლები და სფეროში მომუშავე ექსპერტული წრეები.

მონაწილეების მიერ განხილულ იქნა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ახლებურ, თანამედროვე ხედვას, რომლის მიზანიცაა ნარჩენების მინიმიზაცია და რესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

მსჯელობა შეეხო ეკოლოგიისა და კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების პრობლემატიკას და ცირკულარული ეკონომიკის ფორმაზე გადასვლის დადებით გავლენებს გარემოსა და წარმოებაზე.

მაია ბითაძემ სხდომაზე გამოსვლისას ისაუბრა საქართველოში გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის მიმართულებით, ნარჩენების გადამუშავების პრინციპის გამართულად დანერგვასა და წარმოების და რესურსების მოპოვების პროცესში ბიზნესის წარმომადგენლებისთვის განათლების ამაღლების მნიშვნელობაზე.